ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 287 (19728) ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 16 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1986 Წ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲠᲐᲝᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1987 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲒᲝᲠᲘᲡ რაიონის მშრომელები ფართოდ ჩაებნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრში და 1987 წლისათვის იკისრეს შედეგი ვალდებულებანი:

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის ნაყოფიერება გეგმის გადამეტებით გაზარდონ 1,5 პროცენტით, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება 0,5 პროცენტით, გაზარდონ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობა 3 პროცენტით, შეამცირონ წარმოებული თითოეული ცენტნერი ხილის თვითღირებულება 10-15 პროცენტით. ხეხილის ბაღების საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა გეგმის გადაჭარბებით გაზარდონ 6 ცენტნერით და სახელმწიფოს მიჰყიდონ 135 ათასი ტონა ხილი, 400 ჰექტარზე გააშენონ ხეხილის ბაღი და 40 ჰექტარზე ვენახი. მარცვლეული კულტურების ჰექტარობრივი მოსავლიანობა გეგმის გადაჭარბებით გაზარდონ 8 ცენტნერით, სახელმწიფოს მიჰყიდონ 4000 ტონა მარცვლეული. შაქრის ჭარხლის ჰექტარობრივი მოსავლიანობა გეგმის გადამეტებით გაზარდონ 30 ცენტნერით და სახელმწიფოს მიჰყიდონ 17 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი. საგეგმო 16,1 ათასი ტონა ბოსტნეულის ნაცვლად აწარმოონ 16,5 ათასი ტონა ბოსტნეული.

წველადობა თითოეულ საფურაჟე ძროხაზე საგეგმო 2300 კილოგრამის ნაცვლად გაზარდონ 2330 კილოგრამამდე და სახელმწიფოს მიჰყიდონ 7750 ტონა რძე, 3600 ტონა ხორცი, თითოეულ პირობით მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე დაამზადონ 26 ცენტნერი საკვები ერთეული.

ერთი მოქმედული საშუალო კვერცხმდებლობა გაზარდონ 5 ცალით და სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 500 ათასი ცალი კვერცხი და 10 ტონა ფრინველის ხორცი.

რაიონის მექანიზატორებმა 3 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, 7 პროცენტით — რენტაბელობა, ავტოპარკის მზადყოფნის კოეფიციენტი აამაღლონ 95 პროცენტამდე.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲝᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲠᲔᲠᲘᲩᲘᲚᲘᲡᲘᲡ რაიონის მშრომელებმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო დავალებები და გამოუშვან 1,4 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ამასთან მიმდინარე წელთან შედარებით 4,6 პროცენტით გაადიდონ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. დანადგარების მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი გაზარდონ 1,5-მდე, 10 პროცენტით შეამცირონ ხელის შრომა.

სამშენებლო ორგანიზაციების საერთო სიმძლავრე გაზარდონ 10 პროცენტით, 0,3 პროცენტით შეამცირონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების თვითღირებულება. ვადაზე ადრე დაამთავრონ და ექსპლოატაციოდ გადასცენ 1987 წლის ყველა მშენებარე ობიექტი.

ტრანსპორტის დარგის მშრომელებმა 2 დღეს იმუშაონ დაზოგილი საწვავით.

საქონელბრუნვის რაოდენობა მიაღწევს 47 მილიონ მანეთს, ერთ სულ მოსახლეზე 590 მანეთის გაანგარიშებით. გეგმის გადაჭარბებით მოსახლეობას გაუწევენ 3000 მანეთის საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

10 საზოგადოებრივ მეურნეობასთან შექმნილ სასკოლო-საწარმოო მეურნეობები.

განახორციელონ ღონისძიებები მოსწავლეთა კომპიუტერული სწავლებისათვის, გაავმჯობესონ სოფლად მოსახლეობის კულტურულ - საგანმანათლებლო მომსახურება, გაალეიერონ საკლებო და საბიბლიოთეკო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საექსპლოატაციოდ გადასცენ მეორე სტელლევიზიო პროგრამის გადაცემის კორპუსი.

ᲠᲐᲝᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ 1987 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რაიონის მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის და 1987 წლისთვის იკისრეს შემდეგი ვალდებულებანი:

გამოუშვან 59,8 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ამასთან 1986 წელთან შედარებით ზრდის ტემპი მიაღწევს 7,7 პროცენტს. შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 1,5 პროცენტით, თვითღირებულება შემცირდება 0,6 პროცენტით, სახალხო მოხმარების საგნების გამოშვება გაიზრდება 23,8 მილიონ მანეთამდე, მათ შორის საწარმოო ნარჩენების გამოყენებით წარმოებული იქნება 1,1 მილიონი მანეთის პროდუქცია. დაიზოგება საწვავი: ღუმლისა — 0,5 ტონა, 25 ტონა ბენზინი, 580 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ფონდუკუგება გაიზრდება 3,70 მანეთამდე, არასაპატიო მიზეზით გაცდენები შემცირდება 3 პროცენტამდე. სამჯერ გაიზრდება ხსნადი ჩაის გამოშვება.

სახელმწიფოს მიჰყიდიან 27301 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს, 2200 ტონა სიმინდის მარცვალს, 380 ტონა სოიას, 10100 ტონა ხილს, 4951 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს, 1675 ტონა ტუნგს, 1030 ტონა ბოსტნეულს, 2900 ტონა რძეს, 1580 ტონა ხორცს, 3100 ათას ცალ კვერცხს. საშუალო წველადობა გაიზრდება 1655 კილოგრამამდე, საშუალო კვერცხმდებლობა — 160 ცალამდე, სიმინდის მოსავლიანობა — 30,5 ცენტნერამდე, სოიისი — 12,5 ცენტნერამდე, ბოსტნეულისა — 127 ცენტნერამდე, ხილისა — 50 ცენტნერამდე, ციტრუსისა — 125 ცენტნერამდე, ჩაისა — 110 ცენტნერამდე, ტუნგისა — 30 ცენტნერამდე.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲐᲝᲝᲜᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲡ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲨᲕᲘᲐᲗᲘᲐ იხეთი დღე, რომ „პრავდის“ ფოსტაში არ აღმოჩნდეს წერილი, რომელიც მუსიკალური ესტრადის პრობლემებს, საკონცერტო საქმიანობის მდგომარეობას ეხება. გასაკვირი აქ არაფერია — პირველი წელი როდია, რაც საქმის ვითარება შემოქმედების ამ სფეროებში სერიოზულად აშფოთებთ კულტურის ოსტატებს, მუსიკის მოყვარულებსა და ფართო საზოგადოებრიობას.

მაგალითად, როსტოველი მ. მანგუშევი წერს: „დიდი ხანია შეყვარებული ვარ ესტრადაზე — მისი ყველა უანრი მაინტერესებს. მაგრამ, როცა ვიხსენებ, როგორ იყო წინათ, და ვაანალიზებ იმას, თუ როგორ არის წარმოდგენილი საკონცერტო სცენაზე ახლა, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ თანამედროვე ესტრადა ერთობ საკალო მდგომარეობაშია.“ ივანოვოს ოლქის ქალაქ იფრევეცის მცხოვრების ნ. სმირნოვისათვის „საგანგაშო სიმპტომია ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილის აკდებული დამოკიდებულება რუსული და საბჭოთა სიმღერის, მამაკაცური მუსიკისადმი“. ებება რა ამავე საკითხს, ვ. ბასიეი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან აღნიშნავს, რომ დასავლური „მასობრივი“ კულტურის მცარე ქმნილებებით გატაცება ჩვენი ახალგაზრდობის ბრალი კი არა, უბედურებაა: ჩვენ ძალიან ცოტას ვზრუნავთ მისი ესთეტიკური აღზრდისათვის, სამამულო და საზღვარგარეთული ესტრადის საუკეთესო ნიმუშების პრობაგანდისათვის, ვერ ვუდგიგებთ მას ინტერესს მუსიკალური კლასიკისადმი. „პრავდის“ მკითხველება ხშირად სხვადასხვანაირად აფასებენ ამა თუ იმ კოლექტივის, ესტრადის „ვარსკვლავის“ შემოქმედებას, თანამედროვე მუსიკალურ მამდინარეობებს, მაგრამ ერთსულოვანი არიან ერთ რამეში — გადაჭრით უნდა ავამაღლოთ საესტრადო რეპერტუარის იდეურ-ესთეტიკური დონე, ძირეულად გარდავქმნათ საკონცერტო საქმე. ეს, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მოეკითხება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ამას წინათ გამართულ თათბირზე, რომელმაც ამ საკითხის გამო მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა განიხილა, ითქვა, რომ საკონცერტო მუშაობის ხელმძღვანელობის ახლანდელი ფორმები, მისი ორგანიზაციის სისტემა უიმედოდ მოძველდა, აღარ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. რაც შეიძლება სწრაფად უნდა დავნერგოთ ახალი, უფრო მატარებელი სტრუქტურა, რომელიც ერთმანეთს შეუხამებს მართვის დარგობრივ და ტერიტორიულ პრინციპებს, ენერგიულად გადავჭრათ საგასტროლო-საკონცერტო საქმიანობის მომწიფებული პრობლემები. ბევრი მათგანი, ვისაც მისი ხელმძღვანელობა ეკითხება, გუშინდელი დღით ცხოვრობს, ქაღალდებში ახრჩობს ცოცხალ საქმეს. ამის შედეგად აგრეცილუმა ხელოსნობამ საფუძვლიანად შეავიწროვა საკონცერტო მოედნებზე, ჩვენს მუსიკალურ ყოფაში ნამდვილი ხელოვნება. აქ ლიდერობას ჩემულობს უმდარესი გართობა, თავს ლადად გრძნობს უხამობა და ჰალტურა.

რეპერტუარის დღევანდელი ბარეზენი, მასში უშინაარსო თხზულებების მოძალება მოწმობს, რომ პროფესიული ესტრადა ჩამორჩა დროის მსვლელობას, შეცვლილ გემოვნებას. უკიდურესად ცუდია მისი საერთაშორისო ავტორიტეტი — ამას დასტურებს ჩვენი წარგზავნილების მარცხი მთელ რიგ საზღვარგარეთულ საესტრადო ფესტივალებზე. ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს თვით ასეთი შემოქმედებითი შეჯიბრების მონაწილეთა შერჩევის სისტემა, საერთაშორისო დათვალიერებებზე გამოსასვლელად შემსრულებლების შემოქმედებითი მომზადების ხასიათი.

ჩვენმა კომპოზიტორებმა, მეცირფდენი გამონაკლისის გარდა, დროულად ვერ აუღეს ალღო იმ სიახლეთა ტალღას, რომლებიც ახალგაზრდული აუდიტორიის ინტერესების არეში მოეცა. სხვადასხვა ჟანრის უამრავი ახალი მუსიკალური თხზულებანი, რომლებსაც კულტურის ორგანოები იძენენ, არასოდეს სრულდება. ეს ცხადყოფს, რომ ზოგიერთი ავტორი მოწყდა დროის მოთხოვნებს, მასობრივი აუდიტორიის მოთხოვნილებებს, ზოგჯერ კი ელიტარულობასაც ავლენს. დროა კომპოზიტორთა და მწერალთა კავშირებმა საქმით მოკიდონ ხელი სახიმღერო ესტრადის საჭიროებებს, იზრუნონ მისი რეპერტუარის შევსებისათვის თანამედროვე სულისკვეთების, ყველაზე მაღალ მოთხოვნათა დამაკმაყოფილებელი თხზულებებით.

ჩვენ უფლება გვაქვს ბევრს მოველოდეთ ახლახან დაარსებული საკავშირო მუსიკალური საზოგადოებისაგან. აერთიანებს რა პროფესიონალ კომპოზიტორებსა და შემსრულებლებს, პედაგოგებს, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებს, მუსიკის მოზრდილ თუ ნორჩ მოყვარულთა ფართო მასებს, მას შეუძლია და კიდევაც უნდა შეუწყოს ხელი მუსიკალური განმანათლებლობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, აქტიურად მოახდინოს გავლენა ქალიშვილებისა და ჭაბუკების ესთეტიკური გემოვნების, მუსიკალური გატაცებების ფორმირებაზე, აზიაროს ისინი კლასიკის სიმდიდრეს.

მუსიკის, საესტრადო ხელოვნების პროპაგანდაში დიდია ტელევიზიის და რადიოს როლი და მნიშვნელობა. ბოლო ხანს მათ ბევრი საინტერესო რამ გაკეთეს. და მაინც ტელეეკრანის, რადიომაუწყებლობის უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალი აშკარად არასაკმარისად გამოიყენება. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ მუსიკის მოყვარულთა მრავალმილიონიანი აუდიტორია საგასტროლო-საკონცერტო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მოვლენების, საესტრადო ხელოვნების უახლესი მიმდინარეობების კურსში იყოს, იცნობდეს ყოველივე საუკეთესოს, რაც ჩვენი მუსიკალური კულტურის საგანძურს შეადგენს. ამის ერთ-ერთი გზაა დედაქალაქისა და ქვეყნის უდიდესი ცენტრების საკონცერტო დარბაზებიდან პირდაპირი ტრანსლაციის პრაქტიკის გაფართოება. უნდა ვქმნიდეთ უფრო მეტ ისეთ ტელე და რადიოკონცერტებს, სპეციალურ პროგრამებსა და ფილმებს, რომლებიც საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების კორიფეებს, ნიჭიერ შემოქმედ ახალგაზრდობას, მოკავშირე რესპუბლიკების პოპულარულ მხატვრულ კოლექტივებს ეძღვნება.

სერიოზულ გაუმჯობესებას საჭიროებს მუსიკალური, სახიმღერო კონკურსებისა და ფესტივალების მოწყობის პრაქტიკა. ისინი ძალზე ხშირად ვერ ამართლებენ მათთან დაკავშირებულ დიდ იმედებს. აი, ამას წინათ მოწყობილმა თანამედროვე სიმღერის კონკურსის ლაურეატების გამოსვლებმაც იურმალაში, საბჭოთა სიმღერის შემსრულებელთა სრულიად რუსეთის კონკურსმა სოჭში, საესტრადო სიმღერის ფესტივალმა თბილისში, თუმცა კი გაგვაცნო მთელი რიგი ახალი პერსპექტიული მომღერლები, საინტერესო ანსამბლები, მაინც კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ რაოდენ ერთფეროვანია ბევრი მათგანის რეპერტუარი, რა ღრმად გაუდგამს ფესვი მათ საშემსრულებლო მანერაში მომბაძველობას, დასავლური ესტრადის არცთუ საუკეთესო ნიმუშებზე ორიენტირებას.

კონკურსებისა და ფესტივალების ყიურის შემადგენლობაში უნდა იყვნენ სხვადასხვა შემოქმედებითი თაობის, განსხვავებული ესთეტიკური მრწამსის ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ გულახდილი მსჯელობის ატმოსფეროში ღირსეულად შეაფასონ შეჯიბრების თითოეული მონაწილე, გაარჩიონ მუსიკალური ნაყოფი სარეველასაგან, ცოცხალი ხელოვნების მოვლენები — იაფფასიანი სუროგატებისაგან.

პარტიული კომიტეტების ვალია იზრუნონ საიმისოდ, რომ საკონცერტო ორგანიზაციების საქმიანობის გარდაქმნისათვის, კომპეტენტური სპეციალისტებით მათი განმტკიცებისათვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის მუშაობა ენერგიულად და მიზანდასახულად წარმოებდეს. კომპოზიტორებისა და სიმღერების ავტორი პოეტების, ესტრადის ყველა ჟანრის ოსტატების შემოქმედება ერთგულად უნდა ემსახურებოდეს საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის ამოცანებს, შინაარსიანს ხდიდეს მათ თავისუფალ დროს, ფრთას ასხამდეს ახალი შიდწევებისათვის სამშობლოს სადიდებლად.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲩᲔᲠᲜᲝᲑᲘᲚᲘᲡ ატომურ ელექტროსადგურში დიდი სამეცნიერო, ტექნიკური და სხვა ღონისძიებების განხორციელების შედეგად დამთავრდა ავარიის შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეტაპი. სახელმწიფო კომისიამ საექსპლოატაციოდ მიიღო დაზიანებული ენერგობლოკის დამცავ ნაგებობათა კომპლექსი. დაზარეული რეაქტორი აღარ არის გარემოს რადიაქტიური გაჭუჭყიანების წყარო. უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელების შემდეგ ამოქმედდა ელექტროსადგურის პირველი და მეორე ენერგობლოკები.

ამ ეტაპის დამთავრება, შემჯიდროებულ ვადებში ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციის დიდი მასშტაბის ამოცანების შესრულება მესაძლებელი გახდა მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა, მეცნიერთა და სპეციალისტთა, საბჭოთა არმიის მეომართა თავდადებული გმირული შრომის წყალობით. ამას ხმარდებოდა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სსრ კავშირის საბინესტროებისა და უწყებების ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობა.

ძნელ პირობებში განხორციელდა დინგრეული ენერგობლოკის კონსერვაციის ურთულესი სამუშაოები, რომლებსაც ანალოგები არა აქვს საბჭოთა და მსოფლიო პრაქტიკაში. საბჭოთა მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ დაპროექტებული ეს უნიკალური ნაგებობა აღმურვილია საჭირო მოწყობილობით, დიაგნოსტიკური აპარატურითა და საკონტროლო საშუალებებით. მისი მშენებლობის დროს გამოიყენებოდა თანამედროვე ტექნიკა, ჩასხმულია დაახლოებით 300 ათასი კუბური მეტრი ბეტონი, დამონტაჟებულია 6 ათას ტონაზე მეტი ლითონკონსტრუქციები. განხორციელდა ნორმატივების შესაბამის დონემდე ელექტროსადგურის შენობებისა და ნაგებობების, № 1 და № 2 ენერგობლოკების მოწყობილობის დეზაქტივაციის ღონისძიებანი.

დიდი მუშაობაა გაწეული მოსახლეობის უსაშიროების უზრუნველყოფისათვის, მისი ჯანმრთელობის დაცვისათვის. განხორციელდა ადამიანთა ფართო სამეცნიერო გამოკვლევა თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. სხვადასხვა ტიპის 12 ათასამდე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლი. 200-ზე მეტი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი, გაყვანილია ახალი გზები და საინჟინრო ქსელები. პრაქტიკულად ყველა შრომისუნარიანმა ადამიანმა შესაბამისი სამუშაო მიიღო ახალ საცხოვრებელ ადგილებში.

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის საექსპლოატაციო პერსონალისა და ავარიის შედეგების ლიკვიდაციაზე დასაქმებულ მშენებელთა ცხოვრებისა და საქმიანობისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემულია სავახტო დაბა მწვანე კონცხი კიევის ოლქში. მათ ოჯახებისათვის ქალაქებში კიევსა და ჩერნიგოვში გამოყოფილია 8 ათასი ბინა. იწყება ენერგეტიკოსებისათვის ახალი ქალაქის მშენებლობა.

სახელმწიფომ დიდი მატერიალური დახმარება გაუწია დაზარალებულ მოსახლეობას. მას ეძლევა კომპენსაცია მიყენებული ზარალისათვის. ამ მიზნით გამოყოფილი სახსრების საერთო თანხა დაახლოებით 800 მილიონ მანეთს შეადგენს. გარდა ამისა, დიდი დახმარება გაწეული ბინებისა და სოციალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის. საბჭოთა ადამიანებმა, რომლებმაც კოლექტივიზმისა და დიდი მოქალაქეობრიობის გრძნობა გამოავლინეს, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში ავარიის შედეგების აღმოფხვრისათვის დახმარების ფონდში გადარიცხეს დაახლოებით 520 მილიონი მანეთი.

ფართო ნაშუალებით განხორციელდა დეზაქტივაცია რადიოაქტიურად გაჭუჭყიანებულ რაიონებში. დამუშავებულია 500 დასახლებული პუნქტი, თითქმის 60 ათასი საცხოვრებელი სახლი და სხვა შენობები და ნაგებობანი. მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოებია შესრულებული რადიოაქტიურ ნივთიერებათაგან წყლის რესურსების დასაცავად. აშენებულია ათობით კილომეტრი დამცავი ჯებირები მდინარეების პრიპიატის, ბრაგინისა და დნეპრის ჭალებში. ამის შედეგად წყლის ხარისხი დნეპრის აუზში სანიტარიულ ნორმებს შეესაბამება.

ყველგან გაჩაღებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სპეციალური დამუშავება, ხორცეულდება ღონისძიებანი, რათა შეიქმნას სასოფლო-სამეურნეო წარმოების განახლების პირობები ამ რეგიონის ნიადაგურ-კლიმატურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

ყველაფერმა, რაც გაკეთდა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შედეგების ლიკვიდაციისთვის, გამოიწვია რადიაციული ვითარების ძერეული გაუმჯობესება 30-კილომეტრიან ზონაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ხორციელდება ყველა მოქმედი ატომური ელექტროსადგურის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მოწყობილობის ექსპლოატაციის დონის, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის, მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საჭირო ღონისძიებანი. გაძლიერებულია ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოების მომთხოვნელობა. შეიქმნა სსრ კავშირის ატომური ენერგეტიკის სამინისტრო, სამინისტროების საქმიანობის კოორდინაციისათვის სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნა ატომური ენერგეტიკის საკითხთა საუწყებათშორისო სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო.

ამ ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაფართოვდა და განმტკიცდა ჩვენი თანამშრომლობა ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოსთან. მას ეძლეოდა მთელი საჭირო ინფორმაცია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის მიზეზებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ. სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ატომური ენერგეტიკის უსაფრთხო განვითარების საერთაშორისო რეჟიმის შექმნის დარგში სსრ კავშირის ინიციატივების რეალიზაციისათვის ჩვენი ქვეყნის წინაშე კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციის მიმდინარეობისადმი, რომლებიც კომუნისტებმა გამოთქვეს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ყოველთვის როდი იჩენენ პრინციპულ მიდგომას პარტორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მუშაობის შეფასებისადმი, ხშირად გვერდს უვლიან მახვილ კუთხეებს, აზვიადებენ ცალკეულ მიღწევებს, რომლებიც არ ასახავენ საქმის რეალურ მდგომარეობას. შეიმჩნევა თვითდამშვიდება, ზოგჯერ იბეჭდება ზარზეიმური წერილები, პუბლიკაციებს აკლია კონკრეტულობა, ისინი ეიფორიით არის გადატვირთული და ტრაფარეტულია, უფრო მეტიც, ცალკეული დიდი კოლექტივები — ხაშური რკინიგზის სადგური, ავტოსატრანსპორტო გაერთიანება და სხვები, პრაქტიკულად გაზეთის კრიტიკის ზონის ფარგლებს გარეთ არის დარჩენილი, მაშინ როცა მათი მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებზე ხშირად ყოფილა სკკ-ბასა რესპუბლიკურ პრესაში.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ-ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ „ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲡᲐᲯᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗᲘᲡ „ᲒᲐᲖᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“.

მიიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ რაიონული გაზეთის „გამარჯვების გზის“ პარტიული ხელმძღვანელობის გასუმჯობესებლად პარტიის ხაშურის რაიკომის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს ჯერ კიდევ არ მოჰყოლია სათანადო ეფექტი, რედაქციის მუშაობას სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და 1986 წლის ივნისის პლენუმების მოთხოვნათა შესასრულებლად ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. გარდაქმნა ნელა, ხშირად მხოლოდ სიტყვიერად მიმდინარეობს.

გაზეთის რედაქცია (რედაქტორი რ. მ. სუნიაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ტ. ე. ბუღიძე) ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს პირველადი პარტორგანიზაციების ორგანიზატორულ და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის საკითხთა გაშუქებას. ობიექტად იბეჭდება მასალები კომუნისტთა ავანგარდული როლის, აქტიურობისა და პასუხისმგებლობის შესახებ, უსისტემოდ და ზერელედ აშუქებენ პარტიულ ცხოვრებას, სპეციალური გვერდები გაფსებულია პარტორგანიზაციათა მდივნების უღიმღამო ანგარიშებით, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკების, მათ შორის, პარტიის რაიკომის მდივნების გამოსვლებს აკლია ანალიზი, სიმწვავე, ისინი ძირითადად ფორმალური ხასიათისაა. გაზეთის ფურცლებზე ვერ მოიძებნა ადგილი რაიონული ფარტკონფერენციის მასალებს—საანგარიშო მოხსენების, დელეგატთა გამოსვლებისათვის და სხვ. ერთი ის იყო, რომ კონფერენციის წინ გამოაქვეყნეს ზოგადი ხასიათის თეზისები. არ აშუქებენ პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად მიმდინარე მუშაობას, არ არის დაწესებული კონტროლი იმ კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციის მიმდინარეობისადმი, რომლებიც კომუნისტებმა გამოთქვეს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-4 ᲒᲕ.)

ᲬᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲠᲝᲚᲘ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ...

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ და სპორტის დღესასწაული — ორი სიტყვით ასე შეიძლება განვსაზღვროთ საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, ცნობილი სპორტული კომენტატორის კოტე მახარაძის დაბადების 60 წლისთავს. საღამო 13 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე და ო. ე. ჩერქეზია.

თვით იუბილარის შემოქმედების მსგავსად, საღამო იყო მრავალმხრივი და კოტე მახარაძემ თანაბარწილად გადაუხადა ხარკი ორ მოწოდებას — ხელოვნებასა და სპორტს. ი

ადგილობრივი პრესა-პარტიის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე

(დასასრული)

ვერ პოულობს ჯეროვან ასახვას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, სამეურნეო ანგარიშის დანერგვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, რეზერვების გამოყენების საკითხები, არ აჯამებენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს.

სუსტია გაზეთის ორგანიზატორული როლი, იმ გამოსვლების ქმედითობა, რომლებიც ეხება რაიონის საწარმოებში შრომითი, საწარმოო და სახელმწიფო მომსახურების სამმართველოს უფროსის ვ. მატივიშვილის ინტერვიუ, სადაც მწვავე პრობლემას კრიტიკულად კი არ განიხილავენ, არამედ შელამაზებულად და არხეინი ტონით. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც გამოკითხულ მკითხველთაგან ყოველი მესამე უკმაყოფილოა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობით, ყოველი მეოთხე — ტრანსპორტის მუშაობით, და 80 პროცენტზე მეტი — სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობით. გაუმართლებლად პასიურია გაზეთის პოზიცია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის მიმართ; კომკავშირულ-ახალგაზრდული გვერდის „ახალგაზრდობის“ პუბლიკაციებს მეტწილად ზელამაზებს ელფერი დაკრავს.

გაზეთის ფურცლებზე, ნათქვამია დადგენილებაში, ჯეროვნად არ აისახება ნეგატიური მოვლენების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. პუბლიკაციებს, მათ შორის წერილებს, რომელთა ავტორებადაც გამოდიან რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები, აკლია სიმწვავე, სიახლის ალღო, საზოგადოებრივი ეღერადობა, ქმედითობა, ნაკლებად ითვალისწინებენ, რომ რაიონში ჯერ კიდევ არ შეესაბამება მოთხოვნებს უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა — მოუკლეს თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულობების, სოციალისტური ხელმძღვანელები, არ იმართება ზომის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საკმარისი ყურადღება არ ეთმობა სოციალურ პრობლემათა კომპლექსის გადაჭრას. არ აანალიზებენ მომსახურების სფეროს საქმის ვითარებას, პუბლიკაციებში არ იგრძნობა კრიტიკული მიმართულება, მეღადგინდება მიღწეულით ტაბობისა და თავმოწონების ელემენტები, ავტორებად იშვიათად გამოდიან რიგითი მშრომელები. მაგალითად, გაზეთში დაიბეჭდა რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის ვ. მატივიშვილის ინტერვიუ, სადაც მწვავე პრობლემას კრიტიკულად კი არ განიხილავენ, არამედ შელამაზებულად და არხეინი ტონით. და ეს ხდება იმ დროს, როდესაც გამოკითხულ მკითხველთაგან ყოველი მესამე უკმაყოფილოა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობით, ყოველი მეოთხე — ტრანსპორტის მუშაობით, და 80 პროცენტზე მეტი — სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობით. გაუმართლებლად პასიურია გაზეთის პოზიცია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის მიმართ; კომკავშირულ-ახალგაზრდული გვერდის „ახალგაზრდობის“ პუბლიკაციებს მეტწილად ზელამაზებს ელფერი დაკრავს.

გაზეთის ფურცლებზე, ნათქვამია დადგენილებაში, ჯეროვნად არ აისახება ნეგატიური მოვლენების, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. პუბლიკაციებს, მათ შორის წერილებს, რომელთა ავტორებადაც გამოდიან რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელები, აკლია სიმწვავე, სიახლის ალღო, საზოგადოებრივი ეღერადობა, ქმედითობა, ნაკლებად ითვალისწინებენ, რომ რაიონში ჯერ კიდევ არ შეესაბამება მოთხოვნებს უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლა — მოუკლეს თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულობების, სოციალისტური ხელმძღვანელები, არ იმართება პრინციპული მსჯელობა არსებული ნაკლოვანებების შესახებ, ფორმალური ხასიათისაა კომუნისტების ანგარიშების მოსმენა. სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა განხორციელების ონისძიებანი არაეფექტიანია.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს კომპარტიის ხაზურის რაიკომი საკმარისად კომპეტენტურად და მიზანმიმართულად არ უწევს კოლტიკური ხელმძღვანელობას თავის ბეჭედვის ორგანოს, ეს ცდილობს რაიონული პარტორგანიზაციის მუშაობაში საჯაროობის გაფართოებას, არ ითვალისწინებს, რომ გაზეთი პარტიული კომიტეტის სახეა, სრულად არ იყენებს მის საზოგადოებრივ ძალას სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მშრომელთა დასაარაზმავად. დღემდე არ გამოუტანიათ შესაბამისი დასკვნები სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის არაერთგზის მოთხოვნებიდან ამ საკითხზე, არ ხორციელდება გაზეთის მუშაობის გარდაქმნის ქმედითი ღონისძიებანი, ამ მიმართულებით მიღებულ ღონისძიებებს ზერელე ხასიათი აქვს. უფრო მეტიც, ყრილობის შემდეგ პარტიულ კომიტეტს პრაქტიკულად არ განუხილავს რაიონული გაზეთის მუშაობის საკითხები, არ დაუკონკრეტებია პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად შემოქმედებითი კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანები და მხოლოდ მიმდინარე წლის სექტემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას რეკომენდაციით მხარი დაუჭირა გაზეთის ერთერთ გამოსვლას, თანაც ამასაც ფორმალური ხასიათი ჰქონდა. თუმცა გაზეთის რედაქცია და რაიონის ხელმძღვანელობა ერთ შენობაშია, ეს უკანასკნელი იშვიათად ხვდება ჟურნალისტებს, არ ზრუნავს მათთვის საჭირო შრომის პირობებს შესაქმნელად.

პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ი. გ. ჯიქურაშვილი იმის ნაცვლად, რომ პირადად ხელმძღვანელობდეს გაზეთს, ყოველდღე წარმართავდეს მის მუშაობას, ხშირად ამ საქმეს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას ავალებს.

ყოველივე ეს მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ბეჭედვითი ორგანოს ავტორიტეტზე, აკნინებს მის როლს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. რაიონის მშრომელები კრიტიკულად აფასებენ თავიანთი გაზეთის საქმიანობას. მიიჩნიათ, რომ მისი მუშაობის სტილი ჯერ ვერ აკმაყოფილებს სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნებს, გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი არ არის კმაყოფილი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში დაჩქარების, შრომითი კოლექტივების მუშაობის გარდაქმნის პროცესის პრობლემათა გაშუქებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გარდაქმნისათვის ხაზურის რაიონული გაზეთის „გამარჯვების გზის“ რედაქციის ხელმძღვანელობისა და პირველადი პარტორგანიზაციის მუშაობა (რედაქციაყოფილებლად ცნო და გაზეთის რედაქტორის რ. მ. სუბიაშვილის უფროდღება მიაპყრა იმას, რომ მკვეთრად უნდა გაუმჯობესოს სარედაქციო კოლექტივისა დ მ ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები. დარაზმოს იგი პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად საქმიანობის ძირეული გარდაქმნის ამოცანათა გადასაწყვეტად.

ცნობად არის მიღებული, რომ იგი ამ თანამდებობაზე 1986 წლის ივლისიდან მუშაობს.

სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა სულისკვეთებით რაიონული გაზეთის გარდაქმნისათვის საქართველოს კომპარტიის ხაზურის რაიკომის მუშაობა არასაკმარისად არის მიჩნეული.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის ხაზურის რაიკომის ბიუროს მიუთითა, რომ დაბალია რაიონული გაზეთისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე, და მოსთხოვა ძირეულად შეცვალოს ამ მიმართულებით მუშაობის სტილი, განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი, რაზეც გააკეთოს პრესის ადგილობრივი ორგანო, გაზარდოს მისი როლი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტუალური პრობლემების გადაჭრაში; უზრუნველყოს ადგილობრივი პრესის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნების, „რესპუბლიკის ჟურნალისტთა კადრების მომზადების შემდგომი სრულყოფისა და მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს კადრებთან მუშაობის შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებისა და საქალაქო და რაიონული გაზეთების შესახებ მიღებული სხვა გადაწყვეტილებების შესრულება; გაძლიეროს ჟურნალისტთა ინფორმირების ფორმების ქმედითობა, უზრუნველყოს პარტიის რაიკომის განყოფილებებთან ამ მუშაობის უფრო ზუსტი კოორდინაცია, სისტემატურად განიხილოს რაიონული გაზეთის საქმიანობის ძირითადი ასპექტები, რეგირება მოახდინოს მის კრიტიკულ გამოსვლებზე, გააძლიეროს ამისათვის შესაბამის ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობა და პარტიული შეფასება მისცეს საფუძვლიანი კრიტიკის უგულებელყოფის ყოველ ცდას.

აღინიშნა აგრეთვე, რომ უნდა გაფართოთონ საჯაროობა რაიონის პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში, დანერგონ პარტიის რაიკომის ბიუროს წევრების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელების, შრომითი კოლექტივების გამოსვლები მოსახლეობისათვის მეტად საჭირბოროტო საკითხებზე. გაზარდონ რედაქციისა და სტამბის პირველადი პარტორგანიზაციის როლი აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში, იმ საქმეში, რომ კოლექტივში შეიქმნას შემოქმედებითი ატმოსფერო, დამკვიდრდეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაზეთის ხელმძღვანელობას, პარტიულ ორგანიზაციას დაავალა შეიმუშაონ და განახორციელონ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

ძირეულად უნდა გარდაქმნან რაიონული გაზეთის მუშაობა, უმთავრესი ყურადღება მიაპყრონ რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას, აქტიურ მოწინააღმდეგეობა გამოაცხადონ ფორმალიზმისა და პოლიტიკურ ინერციის, ეფექტიანობა ... ეფექტურობა ... ...

ეროვნული პრობლემატიკა
ფაქტები • მოვლენები

ოფიციალური განყოფილება

ახალი ტექნიკის ასათვისებლად

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სახალხო მეურნეობის დარგებში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ასათვისებლად კადრების მომზადებისა და გადამზადების პრაქტიკის სრულყოფის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების არსებული სისტემა სუსტად ისახავს მიზნად შშენებრივ, რეკონსტრუირებადი და დასაპროექტებელი საწარმოების დროულ უზრუნველყოფას, კადრებით მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის ასათვისებლად. ამის გამო მრავალი ახალი საწარმო დიდხანს აჭიანურებს საპროექტო სიმძლავრეთა მიღწევას.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების უახლესი მიმართულებებისათვის სახალხო მეურნეობის კადრების სპეციალისტებისა და მუშების კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებები, არსებითად გააძლიერონ ამ საქმეში სამინისტროებისა და უწყებების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობა. უცილობელ წესად უნდა იქცეს ის, რომ უახლესი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის გამოსაყენებლად კადრების მომზადება წინ უძღოდეს მათს დანერგვას, უსწრებდეს მოქმედი წარმოების რეკონსტრუქციასა და განახლებას.

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ახალი ტექნიკის, მოწყობილობის, პროგრესული ტექნოლოგიების ექსპლოატაციისა და მომსახურებისათვის, მანქანების, აგრეგატებისა და სხვა მექანიზმების ახლად შექმნილი ნიმუშების, აგრეთვე ახალი ჯიშის სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვისათვის კადრების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება მუშებისათვის მოწყოს, როგორც წესი, მოწინავე საწარმოების სასწავლო ცენტრებში, პოლიგონებზე და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. ხოლო სპეციალისტებისათვის — კვალიფიკაციის ამაღლების შესაბამის ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, სასწავლო პოლიგონებზე. გათვალისწინებულია ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, მომზადებისა და გადამზადების არსებითი გაუჯობესების ღონისძიებანი.

ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მუშაობის ორგანიზაციაში უწყებრივი დაქსაქსულობის აღმოფხვრის მიზნით გაფართოვდება ქვეყნის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების ახალი მიმართულებების მიხედვით კადრების კვალიფიკაციის ამაღლების დარგთშორისი ინსტიტუტების შექმნის პრაქტიკა. მათ ეკისრება კადრების მომზადება-გადამზადების გამოცდილების განზოგადება, სამეცნიერო-მეთოდიკური მუშაობის კოორდინაცია და შესაბამისი სამეცნიერო-მეთოდიკური ლიტერატურის გამოცემა კადრების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ყველა რგოლისათვის. დასახულია კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებისა და ფაკულტეტების პედაგოგიური შემადგენლობის მნიშვნელოვანი გაუჯობესების ღონისძიებები.

თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფილ მოწინავე საწარმოებთან არსებული მთელი რიგი სასწავლო-საკურსო კომბინატები და საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები გარდაიქმნება მოწყობილობის, მანქანებისა და აგრეგატების ახალი ნიმუშების ექსპლოატაცია-მომსახურებისათვის მუშების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ დარგობრივ და დარგთშორის რეგიონალურ სასწავლო ცენტრებად.

ეროსახლეობის კუთვნილი რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის საფირმო მომსახურების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის საფირმო ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციის შესახებ“.

რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების დამამზადებელი სამინისტროების ფართოდ ჩაბმის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მანქანათმშენებლობის სამინისტროს განახორციელოს მაცივრებისა და საყინულეების, სარეცხი, საკერავი და საქსოვი მანქანების საფირმო ტექნიკური მომსახურება და რემონტი;

სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს — მოტოციკლების, მოპედებისა და ველოსიპედების მომსახურება-შეკეთება.

სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს — ელექტრომტვერსასრუტების, კონდიციონერებისა და სხვა რთული ელექტროსაყოფაცხოვრებო ხელსაწყოების მომსახურება-შეკეთება.

საამისოდ აღნიშნულმა სამინისტროებმა 1987-1990 წლებში უნდა შექმნან ქვეყნის მთელ რიგ დიდ ქალაქებში რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის საფირმო მომსახურებისა და რემონტის ტექნიკურ-სავაჭრო და ტექნიკური ცენტრები, ხოლო მეცამეტე ხუთწლედში შექმნან ამ ტექნიკის საფირმო მომსახურების ქსელი ქვეყნის სხვა რეგიონებში.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტს დაეკალთ დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშაონ და სამი თვის ვადაში დაამტკიცონ ექსპლოატაციის საგარანტიო ვადის პერიოდში მწყობრიდან გამოსული რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაცვლის ახალი წესები.

დადგენილია აგრეთვე, რომ რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკის საფირმო ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის აღნიშნული ცენტრების შექმნა არ ათავისუფლებს მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროთა საწარმოებს ასეთი ტექნიკის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ფუნქციების შესრულებისაგან.

რაციონალურად გამოვიყენოთ მატერიალური რესურსები

სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განმტკიცების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის დაგეგმვის ნორმატიული მეთოდის გაფართოების, მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების საქმეში მათი დაინტერესებისა და ეკონომიკური პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „სახალხო მეურნეობაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგის შემცირების ღონისძიებათა შესახებ“.

სსრ კავშირის მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია 1987 წლიდან მატერიალური მარაგის დაგეგმვის ნორმატიულ მეთოდზე გადასვლა. სსრ კავშირის სახმომარაგებას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სახბანკთან და მშენებნამთან ერთად დაევალა დაუმტკიცოს 1987-1990 წლებისათვის სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს საკავშირო-მატერიალური ფასეულობების მარაგის ზღვრული დონის ნორმატივები პროდუქციის, სამუშაოებისა და მომსახურების (საქმიანობის სახეობათა მიხედვით) რეალიზაციის მოცულობის მიხედვით გაანგარიშებით. ეს ნორმატივები პროგრესული უნდა იყოს და მიზნად ისახავდეს მატერიალურ ფასეულობათა მარაგის მკვეთრ შემცირებას.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ორი თვის ვადაში უნდა დაუწესონ მატერიალურ ფასეულობათა მარაგის ზღვრული დონის დიფერენციებული ნორმატივები საქვეუწყებო გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს, ამასთან გაითვალისწინონ მათი საწარმოო საქმიანობის სპეციფიკა და გააცნონ ეს ნორმატივები სსრ კავშირის სახმომარაგებია ორგანოებსა და ბანკების დაწესებულებებს შესაბამისი გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ადგილმდებარეობის მიხედვით.

დადგინდა, რომ 1987 წლიდან მოყოლებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობათა მარაგის ზღვრული დონის დამტკიცებული ნორმატივების გადაჭარბებისათვის გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში შეიტანენ დამატებით საფასურს ამ ფასეულობათა ზედგამეთი მარაგის ღირებულების სამი პროცენტის ოდენობით მათს განკარგულებაში დარჩენილი მოგების ხარჯზე.

1987 წლიდან გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ნება დაერთოთ სამინისტროებთან და უწყებებთან, აგრეთვე სსრ კავშირის სახმომარაგების ორგანოებთან შეუთანხმებლად მიპყიდონ გამოუყენებელი საკავშირო-მატერიალური ფასეულობები სახელმწიფო და კოოპერაციულ გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოსახლეობას. სსრ კავშირის სახმომარაგებას წინადადება მიეცა უზრუნველყოს საშუამავლო მომსახურების სისტემის შემდგომი განვითარება, რისთვისაც გახსნას 1987 წელს საკომისიო მაღაზიები და სხვა სამეურნეოანგარიშიანი საწარმოები გამოუყუნებელი მასალის, ნედლეულის, ნაწარმის, მოწყობილობისა და სხვა სახის, მათ შორის ნახმარი მატერიალური ფასეულობების რეალიზაციისათვის.

(საკდესი).

ვიეტნამის კომპარტიის VI ყრილობა

ჰანოი. აქ გაიხსნა ვიეტნამის კომპარტიის VI ყრილობა. იგი განიხილავს ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებას, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სოციალური და ეკონომიკური განვითარების 1986-1990 წლების ძირითად მიმართულებებს, ვიეტნამის კომპარტიის წესდების ცვლილებებს, აირჩევს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს.

უმაღლესი პარტიული ფორუმის მუშაობაში მონაწილეობს სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის მეთაურობით.

ყრილობაზე ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება გააკეთა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ჩიოხვ ტინმა. მან თქვა, რომ პარტიის ხელმძღვანელობით მთელმა ვიეტნამელმა ხალხმა დაიწყო რევოლუციის ახალი ეტაპი — სოციალიზმის აშენებისა და სამშობლოს დაცვის ეტაპი. ეწევა რა ვაჟკაცურ ბრძოლას ვიეტნამის კომპარტიის V ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, სიძნელეთა და დაბრკოლებათა დაძლევისათვის, ვიეტნამელმა ხალხმა დიდმნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია სოციალიზმის აშენების საქმეში.

ეპოქის რევოლუციური ძალები, აღნიშნა მომხსენებელმა, განუხრელად მტაცდებიან და აქტიურ შეტევითს პოზიციებს იკავებენ, დღითიდღე მატულობს სოციალისტური სისტემის ყოველმხრივი ძალიერება, რომლის ბურჯია საბჭოთა კავშირი.

ვიეტნამისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელთა შეხვედრები, 1986 წლის ნოემბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან მ. ს. გორბაჩოვთან ბოლო შეხვედრა ასახავენ ჩვენი ორი პარტიისა და სახელმწიფოს ერთიანობის მაღალ დონეს, წვლილი შეაქვთ სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ძმური შეკავშირებისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებაში.

ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიების ხელმძღვანელთა სამუშაო შეხვედრამ, რომელიც მოსკოვში გაიმართა, დასაბამი მისცა ახალ ნაბიჯს ყველა დარგში, უწინარეს ყოვლისა ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის განვითარებისა და დონის ამაღლების გზაზე, ხელი შეუწყო მომძე ქვეყნების პროგრესის დაჩქარების საქმეს. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის დაუცხრომელ მეცადინეობას ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისათვის, საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნისათვის. დიდად ვაფასებთ მ. ს. გორბაჩოვის მიერ ვლადივოსტოკში წამოყენებულ ინიციატივებს, რომელთა მიზანია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი ჩააბას საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის პროცესში.

ფოტოფაქტი

ჩილე

სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, რომლებსაც პინოჩეტის ხუნტა თავს ატეხს ტირანიის მოწინააღმდეგეებს, ჩილეში გრძელდება გამოსვლები ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

სურათზე: პინოჩეტის ანტიხალხური. რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესტო მანიფესტაციის ერთ-ერთი მონაწილის დაპატიმრება.

საკდესის ფოტო.

ეკონომიკა ერთ ადგილს ტკეპნის

ამერიკელი პროფესორი ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის შესახებ

ნიუ-იორკი. ამერიკის ეკონომიკა ერთ ადგილს ტკეპნის — ასე დაახასიათა ქვეყნის ინდუსტრიაში შექმნილი ვითარება ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო სპეციალისტმა, მინესოტის უნივერსიტეტის პროფესორმა უოლტერ ჰელერმა.

„განვლილი 2,5 წლის მანძილზე ეკონომიკის განვითარების ტემპი, — წერს იგი გაზეთ „უოლსტრიტ ჯორნელში“, დუნე იყო და მხოლოდ დაახლოებით 2,5 პროცენტს შეადგენდა“. პროფესორმა აღნიშნა, რომ ოფიციალური მონაცემებით, 1984 წლის შემდეგ უმუშევრობის დონე აქტიური მოსახლეობის 7 პროცენტს შეადგენდა, და ხაზი გაუსვა: „მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ თითქმის 5,4 მილიონ კაცს, რომლებიც არასრულ სამუშაო კვირას მუშაობენ, მაგრამ სრული კვირა სურთ იმუშაონ, აგრეთვე დაახლოებით 1,1 მილიონ ამერიკელს, რომლებსაც იმედი გადაეწურათ და აღარ გადიან რეგისტრაციას შრომის ბირჟებზე, ეს მაჩვენებელი 10 პროცენტს მიუახლოვდება“. რაც შეეხება სამრეწველო საწარმოების დატვირთვას, ამ პერიოდში იგი დაახლოებით 80 პროცენტამდე შემცირდა. „სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ აკიეთებთ პარამეტრებს, რომლებიც მართლაც რაღაცას ნიშნავს, — ადამიანის რესურსებისა და სამრეწველო პოტენციალის გამოყენებას, — 1984 წლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებს არავითარი პროგრესი არ ჰქონია ეკონომიკურ განვითარებაში“, — აღიარებს ჰელერი.

ავტორი ყურადღებას მიაპყრობს ისეთ სერიოზულ პრობლემებსაც, რომლებსაც ქვეყანა აწყდება. მაგალითად, საგარეო ვალს. „რაღაც სამი წლის მანძილზე, — ნათქვამია სტატიაში, — მსოფლიოს უდიდესი კრედიტორიდან უდიდეს მოვალედ გადავიქეცით და ჩვენი ვალი მიმდინარე ათწლეულის დამლევისათვის 500 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს“. სწრაფი ტემპით მატულობს სახელმწიფო ვალიც, რომელიც ახლა 2 ტრილიონ დოლარს აღემატება. ნიუთობმომპოვებელი და სამთამადნო მრეწველობა, აგრეთვე სოფლის მეურნეობა დაქვეითებას განიცდიან. „სიღარიბის დონე შემაშფოთებელი ტემპით მატულობდა — ამერიკის შეერთებულ შტატებში ღარიბ ადამიანთა რიცხვი 1979 წელთან შედარებით მესამედით გაიზარდა“, — ხაზს უსვამს ჰელერი. მისი თქმით, ამ ფაქტების ფონზე მეტად სკეპტიკურად უნდა მოვეკიდოთ თეორი სახლის განცხადებებს „ეკონომიკური ბუმის დადგომის შესახებ“.

მსოფლიოს საზოგადოებრიობა მხარს უჭერს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს

რომ რეიკიავიკში დაწყებული პროცესი კიდევ უფრო განვითარდება და მას კონკრეტული შედეგები მოჰყვება. ეს განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში იტალიის პარლამენტის დეპუტატმა ალდო რიკომ.

„ბირთვული კონფლიქტი, — თქვა მან, — ნიშნავს კატასტროფას ყველასთვის, ამიტომ მეტად მნიშვნელოვნად და კონსტრუქციულად მიმაჩნია 2000 წლისათვის მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიმდინარე წლის 15 იანვრის განცხადებაში რომ არის ჩამოყალიბებული, აგრეთვე სსრ კავშირის გადაწყვეტილება 1987 წლის 1 იანვრამდე გაახანგრძლივოს ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი. ჩვენ მხარს ვუჭერთ ბირთვული გამოცდების სრულ შეწყვეტას“.

კარაკასი. მთავრდება 1986 წელი, რომელიც მშვიდობის საერთაშორისო წლად გამოცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ. მან ჩაიარა საბჭოთა კავშირის იმ კონსტრუქციული წინადადებების ნიშნით, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ კაცობრიობის უშიშ[illegible] და ნათელი მომავალი. მათ ძლიერი სტიმული მისცეს ქვეყნად მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობის გაკეტიურებას, საფუძველი შეუქმნეს პლანეტის პროგრესული ორგანიზაციების მოქმედების პროგრამებს, წერს ვენესუელის ჟურნალი „კანტაკლარო“.

მძლავრი სტიმული

ბრაზილია. რეიკიავიკში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის შეხვედრა კაცობრიობისათვის დადებითი მოვლენა გახდა, განაცხადა არგენტინის პრეზიდენტმა რაულ ალფონსინმა პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ბრაზილიის დედაქალაქში, სადაც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა. არგენტინის სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ რეიკიავიკში გამართული დიალოგი არ ყოფილა უშედეგო. იქ გაჩნდა ბირთვული განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიღწევის შესახებ ფუნდამენტურ შეთანხმებათა დადების გარკვეული შესაძლებლობა. ჩვენ ყველა ვიმედოვნებთ, ხაზგასმით აღნიშნა რაულ ალფონსინმა, რომ ბირთვული განიარაღების საკითხებზე სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკება გაგრძელდება.

რომი. საბჭოთა კავშირი ადგას პატიოსან, სამშვიდობო პოლიტიკას, კარგი იქნებოდა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც იგივე ქნას. ვიმედოვნებთ,

ფაქტის კომენტარი

შეზირთვო მსოფლიოს გზაზე გადადგმული ნაბიჯი

ამოქმედდა წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილის უბირთვო ზონად გამოცხადების ხელშეკრულება. ეს შესაძლებელი გახდა ბოლო სავალდებულო პირობის შესრულების შემდეგ: ამ დღეებში მერვე სახელმწიფომ (ავსტრალიამ) დაამტკიცა ხელშეკრულება. ამრიგად, მშვიდობისა და უშიშროების პრინციპების დამამკვიდრებელი საერთაშორისო შეთანხმებების სისტემა შეიავსო ახალი უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტით. იგი გამორიცხავს ამ რეგიონში ბირთვული იარაღის განლაგებას, წარმოებასა და გამოცდას, კრძალავს რადიოაქტიური ნარჩენების დამარხვას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ანტიბირთვული პრინციპები გახდა ოფიციალური პოლიტიკა სახელმწიფოებისა, რომლებსაც მიმდებარე წყლის აკვატორიებთან ერთად უკავიათ რამდენიმე ათეული მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობის უზარმაზარი ტერიტორია.

არსებითად ხელშეკრულება არის წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში მდებარე სახელმწიფოთა პასუხი დასავლეთის სახელმწიფოთა იმპერიულ პოლიტიკაზე, რომლებიც ცინიკურად უგულებელყოფენ რეგიონის ხალხების საარსებო მნიშვნელობის ინტერესებს. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ფართოდ გამოიყენა წყნარი ოკეანის ატოლები წყალბადის ბომბების გამოცდებისათვის. ამ დანაშაულებრივი მოქმედების ტრაგიკული ძეგლია კუნძულება, სადაც ნიადაგი დღემდე მოწამლულია რადიოაქტიური ნივთიერებებით. წყნარ ოკეანეში თავის ბაზებზე ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებს დაახლოებით 10 ათასი ბირთვული მუხტი აქვს.

იმ დღეს, როცა უბირთვო ზონის შესახებ ხელშეკრულება ძალაში შევიდა, საფრანგეთმა მუურუროას ატოლზე მოაწყო ბირთვული იარაღის მორიგი გამოცდა. პროტესტის პასუხად პარიზი ამტკიცებს, თითქოს უსაფრთხო იყოს მისი ექსპერიმენტები, რაზეც წყნარი ოკეანის რეგიონის მცხოვრებლები საფუძვლიანად ურჩევენ საფრანგეთს ასეთი „უსაფრთხო“ გამოცდები აწარმოოს სადმე მარსელის მახლობლად, და პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთი ცდილობს მათი რაიონი გადაქცეოს თავის პოლიგონად.

ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, რეგიონის სახელმწიფოების პატარა კუნძულებზე შეშფოთებული ადეკვნებენ თვალს აგრეთვე იაპონიის ცდებს, შექმნას ოკეანის სიღრმეში რადიოაქტიურ ნივთიერებათა რაღაც საყრელი — თავისი საკუთარი ტერიტორიიდან რაც შეიძლება მოშორებით.

ისინი, ვინც ლამის მთელ მსოფლიოს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესების ზონად მიიჩნევენ, მტრულად შეხვდნენ ხელშეკრულებას. უბირთვო ზონა ხელს არ აძლევს შეერთებულ შტატებს, ისევე როგორც ხელს არ აძლევს არც ერთი ნაბიჯი, რომელიც ზღუდავს ვაშინგტონის ბირთვულ ამბიციებს.

აშკარად საპირისპირო პოზიცია უკავია საბჭოთა კავშირს, რომელიც თანამიმდევრულად უჭერს მხარს მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. სხვა ბირთვული სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სსრ კავშირი მზად არის უზრუნველყოს ზონის უბირთვო სტატუსი, არ დაუშვას მისი კონფრონტაციის ასპარეზად გადაქცევა. მოსკოვი ახალ ხელშეკრულებას მიიჩნევს დიდმნიშვნელოვან წვლილად უბირთვულიარაღო მსოფლიოს შექმნის საქმეში.

◆ თურქეთი

პრემიერის პრესკონფერენცია

ანკარა. საბჭოთა კავშირ-თურქეთის ეკონომიკურ ურთიერთობას დიდი შეფასება მისცა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა თურგუთ ოზალმა. პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის უოველმხრივმა განვითარებამ დადებითი შედეგები მოიტანა.

პრემიერ-მინისტრმა განსაკუთრებით აღნიშნა თურქეთში საბჭოთა ბუნებრივი გაზის მიწოდების პროექტის განხორციელების არსებითი მნიშვნელობა. საბჭოთა ბუნებრივი გაზი, თქვა მან, საშუალებას. მოგვცემს საგრძნობლად გავზარდოთ ენერგეტიკული სიმძლავრენი თურქეთის დასავლეთ და ცენტრალურ რაიონებში, შექმნათ ახალი ენერგოცენტრები, აგრეთვე გადავწყვიტოთ დედაქალაქის გათბობისა და ანკარაში ატმოსფეროს გაწმენდის პრობლემა.

◆ ინდოეთი

შემოიღეს კომენდანტის საათი

დელი. 15 დეკემბერს დილით კომენდანტის საათი შემოიღეს ინდოეთის ქალაქ ამრიტსარის მთელ ტერიტორიაზე, რომელიც პენჯაბის შტატში პაკისტანთან საზღვრის მახლობლად მდებარეობს. როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას სააგენტო იუწყება, ეს ღონისძიება მიიღეს, რათა თავიდან აიცილონ უწესრიგობის პროვოკაციულად გამოწვევა საპროტესტო გამოსვლების დროს, რომელთა მოწყობასაც აპირებენ მთელი რიგი პოლიტიკური ორგანიზაციები სიქთა ძირგამომთხრელი დაჯგუფებების ტერორისტული გამოხდომების წინააღმდეგ.

◆ პაკისტანი

თემთაშორისი მღელვარება

ლონდონი. პაკისტანის უდიდესი ქალაქი იარაჩი თემთაშორისმა მღელვარებამ მოიცვა, რომელიც ყველაზე სისხლისმღვრელია ამ ბოლო წლებში. რეიტერის სააგენტოს მოწმობით, განვლილ დღეღამეში დაიღუპა 50-ზე მეტი კაცი და 300-ზე მეტი დაიჭრა. ავტომატებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული პატანები — პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრისპირა პროვინციიდან გამოსულნი —, თავს დაესხნენ რაიონებს, სადაც ინდოეთიდან და ბანგლადეშიდან გადმოსახლებულნი ცხოვრობენ. რამდენიმე საათის განმავლობაში ქალაქის ქუჩებში არ წყდებოდა სროლა. მოხულეანო ელემენტები არბევდნენ ფარდულებსა და მაღაზიებს, წვავდნენ სახლებსა და ავტობუსებს. ხანძარმა შთანთქა მთელი საცხოვრებელი უბნები. მღელვარების რაიონში გამოცხადებულია კომენდანტის საათი და შეუყვანილია ჯარები, რომლებსაც ნაბრძანები აქვთ ესროლონ გაუფრთხილებლად.

ეს უკვე მეორე დიდი თემთაშორისი მღელვარებაა ყარაჩში ბოლო ორი თვის მანძილზე.

წინააღმდეგობას უწევენ დუშმანებს

ქაბული. როგორც ბახთარის სააგენტო იტყობინება, ორი ძლიერი აფეთქება მოხდა ქურამის რაიონის (პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთი სასაზღვრო პროვინცია) ქალაქების ფარაჩინარისა და თმალის ცენტრალურ უბნებში. ფარაჩინარში დაინგრა შენობა, სადაც აფღანელი კონტრრევოლუციონერები იყვნენ მოკალათებული, ხოლო თმალში განადგურებულია ავტომობილი, რომელშიც იჯდა ბანდიტთა მეთაურის ბულბეგინ ჰეკმათიარის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრახველი. დუშმანი მძიმედ დაიჭრა. ეს ოპერაციები, აღნიშნავს სააგენტო, მოწმობს, რომ ისლამაბადის სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, პუშტუნები განაგრძობენ ბრძოლას მათი ბინადრობის ტერიტორიაზე მოკალათებულ ავღანელ კონტრრევოლუციონერთა ბანდების წინააღმდეგ.

ბახთარი აგრეთვე იტყობინება, რომ პუშტუნთა ტომებმა იერიში მიიტანეს კონტრრევოლუციონერთა მომზადების რამდენიმე ბანაკზე. ბანდიტებს სერიოზული ზარალი მიადგათ.

ბუნება და სტიქია

წყალდიდობა ჯაკარტაში

ჯაკარტა. ძლიერმა წყალდიდობამ აიძულა ინდონეზიის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები მიეტოვებინა სახლ-კარი და თავშესაფარი ეძებნა უსაფრთხო ადგილებში. სტიქიური უბედურება გამოწვეულია კოკისპირული წვიმებით, რომლებიც რამდენიმე დღეა გრძელდება. წყლის სტიქიაში აღმოჩნდა მთელი უბნები. ალაგ-ალაგ წყლის დონე ორ მეტრ-ნახევარს აღწევს. ქალაქში დღე-ღამის განმავლობაში მოქმედებენ სპეციალური მაშველი შენაერთები, დაზარალებულთ უწევენ საჭირო სამედიცინო დახმარებას, აწვდიან სურსათს.

ესტრადას თავისი საზრუნავი აქვს

ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში გაიმართა საბჭოური საესტრადო სიმღერის ფესტივალი. ფესტივალის ჟიურის, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ კომპოზიტორები, მუსიკოსები, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები, შემსრულებელთა მუშაობა უნდა შეეფასებინა ყველა დონეზე: რეპერტუარის ხარისხით დაწყებული და მსახიობთა სცენური კულტურითა და ხმის რეჟისორთა ოსტატობით დამთავრებული. „პრავდის“ კორესპონდენტმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ვ. რ. ასათიანს სთხოვა გაეზიარებინა თავისი აზრი ამ დათვალიერება-კონცერტის შედეგებზე.

— ჩვენს ქვეყანაში ხელოვნების შემდგომი განვითარების საკითხები სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების თანაბარ დონეზე წყდება, პარტიული ყურადღებისა და კონფერენციების განხილვის საგანი ხდება, მთავარობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების შინაარსს შეადგენს. სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ჩვენს ქვეყანაში საკონცერტო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების და საკონცერტო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ და სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი, რომელმაც განიხილა ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა, ხელოვნების მოღვაწეებს ამოცანად უსახავს არა მარტო დაუხვეწონ საბჭოთა ადამიანს ესთეტიკური გემოვნება, არამედ ჩაუნერგონ კიდეც საბჭოური მსოფლმხედველობა, გამოუმუშაონ აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, ამაღლებული იდეური და ზნეობრივი კრიტერიუმები.

თბილისში გამართული საბჭოური საესტრადო სიმღერის ფესტივალი მთლად ჩვეულებრივი არ იყო. უნდა შეემოწმებინათ საესტრადო ხელოვნების დარგში ახლადელი მდგომარეობა, გამოენახათ მისი განვითარებისა და სრულყოფის ახალი გზები.

როგორც ყოველთვის, საზეიმოდ, საინტერესოდ და თავისებურად გამოვიდა პოპულარული ანსამბლი „ივერია“. მოქალაქეობრივმა პათოსმა და გულში ჩამწვდომმა ლირიზმმა განსაზღვრა ინტერესი ბერძნული სიმღერის ანსამბლის „ელადისადმი“, მთლიანი და შინაარსიანი საკონცერტო პროგრამა წარმოადგინა ახალგაზრდა კოლექტივმა „ნატვრის ხემ“. საბჭოური ესტრადის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად მუშაობს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ვ. ლომსაძე ანსამბლ „ჯადოსნურ გზებთან“. თანამედროვე რიტმითა და ინტონაციებით არის აღბეჭდილი „თეატრონის“ კოლექტივის პროგრამა, საზოგადოების დამსახურებული წარმატება და აღიარება ხვდათ წილად სოლისტებს მ. თოდაძეს, თ. გვერდწითელსა და თ. დავითაშვილს.

მაგრამ ესტრადა მუდმივ განახლებასა და წინსვლას მოითხოვს. ფესტივალმა კი არათუ არ გაგვახარა ახალი სახელების გამოჩენით, არამედ იმედიც კი გაგვიცრუა ზოგიერთი ძველი შემსრულებლის შემოქმედებითი „ამორტიზაციით“. ცხრა საღამოს მანძილზე სცენაზე უამრავი შ

წინ არის საუკეთესო როლი, საუკეთესო რეპორტაჟი...

(დასასრული)

ოუბილარს ულოცავენ ყრმობის მეგობრები — მსახიობი ე. ყიფშიძე, რომელთან ერთად კ. მახარაძე სწავლობდა საბალეტო სკოლაში და 10 წლის ასაკში ცეკვავდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ჩაიკოვსკის „მაკნატუნაში“, მწერალი ვ. კოტეტიშვილი, მომღერალი ზ. ანჯაფარიძე.

— სკოლაში სწავლის წლებში, — გვიამბობს კ. მახარაძე, — ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა სპორტი. ვთამაშობდი თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდში და უკვე შემდეგ ფეხბურთის უკურნებელი სიყვარულით დავსნეულდი. სცენაზე ადიან ლეგენდარული ბ. პაიჭაძე, მისი თანაგუნდელები ვ. ახთაძე და გ. გაგუა, რომლებმაც ქართული სპორტის ვეტერანთა სახელით გულთბილად მიულოცეს იუბილარს.

განსაკუთრებული სითბოთი იყო აღვსილი კ. მახარაძის ყოფილი პედაგოგის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. ბერიძის, საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში იუბილარის მოწაფეების კ. კვესაძის, გ. ბერიკაშვილის, ჯ. ღაღანიძის, ბ. წიფურიას, ლ. ჭავჭავაძის, ნ. ჯუღელის გამოსვლები, მშობლიური კოლექტივის — მარჯანიშვილის სახელობის თეატრის, აგრეთვე რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივის მილოცვები, რომლის სცენაზე კ. მახარაძემ თითქმის მეოთხედი საუკუნე იმუშავა და შექმნა დასამახსოვრებელი სახეები როგორც თანამედროვე, აგრეთვე კლასიკურ სპექტაკლებში. კოტე მახარაძისადმი გულწრფელი პატივისცემის გამომხატველ სიტყვებში ხელოვნების მოღვაწეებს ეჯიბრებოდნენ სპორტსმენები — კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი ვ. ვერე